

შპს „ივერიასთილი„ (ს/ნ 421277852)

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3.1 ფინანსური ინსტრუმენტები	6
3.2 ძირითადი საშუალებები	7
3.3 არამატერიალური აქტივები	8
3.4 მარაგები	8
3.5 შემოსავლები	8
3.6 ხარჯების აღიარება	8
3.7 დაბეგვრა	8
4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	9
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
6. პირობითი ვალდებულება	9
7. განმარტებითი შენიშვნები	10
8. რისკების მიმოხილვა	11

შპს „ივერიასთილი“, (ს.ნ. 421277852)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2023	2022	2021
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	1	20 049	32032	40614
გრძელვადიანი აქტივი სულ		20 049	32 032	40 614
მოკლევადიანი აქტივი				
მიმდინარე მარაგი	2	166163	3372113	3 229 936
გადახდილი ავანსი	3	707 307	487426	1 213 386
სავაჭრო მოთხოვნა		7488748	4644706	2 552 986
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		712841	887994	1 429 778
სხვა მიმდინარე აქტივები		285 373	294708	417 985
მოკლევადიანი აქტივი სულ		9 360 432	9 686 947	8 844 071
აქტივი სულ		9 380 481	9 718 979	8 884 685
კაპიტალი				
დაგროვილი მოგება ზარალი		8 336 421	7429254	4739608
კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	496	8102
კაპიტალი სულ		8 336 421	7 429 750	4 747 710
მოკლევადიანი ვალდებულება	-	-		
საგადასახადო ვალდებულება		0	0	0
საპენსიო ვალდებულება		2 688	883	107
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		569 248	1917514	3415084
მიღებული ავანსი		18 103	16122	52576
პერსონალის მიმართ ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულება		454 021	354710	669208
მოკლევადიანი ვალდებულება სულ		1044060	2285229	4136975
კაპიტალი და ვალდებულება სულ		9 380 481	9 718 979	8 884 685

დირექტორი:



შპს „ივერისტალი“, (ს.ნ. 421277852)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
საერთო მოგება			
ამონაგები	4	39 467 128	82 067 204
თვითღირებულება	4	-37 905 955	-76 263 768
საერთო მოგება/(ზარალი)		1 561 173	5 803 436
საოპერაციო მოგება			
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	5	-324 278	-908 315
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	-228 460	-1 657 705
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1 008 435	3 237 416
არასაოპერაციო მოგება			
კურსთაშორის სხვაობა ნეტო		11 811	-164 505
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		41 181	40 888
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-154 260	-424 153
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		907 167	2 689 646
მიმდინარე წლის შედეგი			
მიმდინარე წლის შედეგი		907 167	2 689 646
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		907 167	2 689 646

დირექტორი:



შპს „ივერთასტილი“, (ს.ნ. 421277852)

ფულადი სახსრების მოძრაობა

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფული	32 315 864	63 544 886
მომწოდებლისთვის გადახდილი ფული	-29 921 071	-60 675 385
თანამშრომლისთვის გადახდილი ფული	-71 800	-125 900
სხვა საბიუჯეტო გადასახადი	-925 330	-1 464 667
საპენსიო ანარიცხის გადასახადი	-2 530	-6 408
ნასესხები ფულადი სახსრების მოძრაობა	-1 569 637	-1 992 877
კაპიტალის ცვლილება	-496	303 806
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-175 000	-416 545
სულ		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
სულ		
ფულადი ნაკადების და მათი ექვივალენტების ნაშთები		
სავალუტო ცვლილების ეფექტი	-153	-125 239
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	-175 000	-416 545
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საწყისი ნაშთი	887 994	1 429 778
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	712 841	887 994

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

- შპს „ივერიასთილი“-ი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2020 წლის 10 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 421277852.

კომპანიის იურიდიული მისამართია წყალტუბოს რაიონი, ს. საყულია, 27-ე ქ., N 16

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა შავი და ფერადი ლითონების ჯართით და ნარჩენებით, ასევე ვაჭრობა ლითონის სამშენებლო მასალებით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელი (100%-ნი წილის მფლობელი) და დირექტორი არის ავთანდილ მუკბანიანი პ/ნ 53001014869.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. წარდგენის საფუძველი

- მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების
- საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.
- ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.
- ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები და ნაშთები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
- კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის კურსები	დოლარი	ევრო
2021	3.0976	3.5040
2022	2.7020	2.8844
2023	2.6894	2.9753

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

3.1 ფინანსური ინსტრუმენტი

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საღარიბოში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგენილიყო, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. აღნიშნულის მტკიცებულებები არ არსებობს, შესაბამისად გაუფასურების ზარალი აღიარება მოგება/ზარალში არ მომხდარა.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

3.2 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთან ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

3.3 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით.

3.4 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

3.6 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევ) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკუროსო სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

3.7 დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.
- კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

6. პირობითი ვალდებულება

კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულება/აქტივი.

7. განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები
2023				
საწყისი ძირითადი საშუალებები	6374	3818	48500	942
ძირითადი საშუალების შემოსვლა	0	0	0	0
ძირითადი საშუალების გასვლა	0	0	0	0
საბოლოო ძირითადი საშუალებები	6374	3818	48500	942
საწყისი დაგროვილი ცვეთა	1893	1568	23842	299
ცვეთის დარიცხვა	1275	821	9700	189
დარიცხული ცვეთის შემცირება	0	0	0	0
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	3168	2389	33542	488
2022				
საწყისი ძირითადი საშუალებები	3963	3250	48500	942
ძირითადი საშუალების შემოსვლა	2411	568	0	0
ძირითადი საშუალების გასვლა	0	0	0	0
საბოლოო ძირითადი საშუალებები	6374	3818	48500	942
საწყისი დაგროვილი ცვეთა	976	813	14142	110
ცვეთის დარიცხვა	917	755	9700	189
დარიცხული ცვეთის შემცირება	0	0	0	0
საბოლოო დაგროვილი ცვეთა	1893	1568	23842	299

2. სასაქონლო-მატერიალური მარაგი:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	2023	2022
გასაყიდად განკუთვნილი მარაგი	166 018	3 371 717
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	145	396
სასაქონლო-მატერიალური მარაგი ჯამი	166 163	3 372 113

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2023	2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	260 381	525 978
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	371 836	354 533

შპს „ივერიასთილი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	80 624	7 483
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი	712 841	877 994

4. ამონაგები და თვითღირებულება

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდების მიხედვით მიღებული შემოსავლები და ამ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ამონაგები	2023	2022
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული	37 833 015	71 902 461
ექსპორტი	1634113	10 164 743
ამონაგები ჯამი	39 467 128	82 067 204

თვითღირებულება	2023	2022
	-37 905 955	-76 263 768
თვითღირებულება ჯამი		

5. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	2023	2022
ტრანსპორტირება	-298 282	-384 585
რეკლამის ხარჯი	-2 363	-5 202
სხვა მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი	-14 831	-518 528
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯი ჯამი	-324 278	-908 315

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

საანგარიშო პერიოდის მიხედვით კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2023	2022
ხელფასი	-91 582	-160 460
კომუნალური გადასახადი	-550	-600
საპენსიო ანარიცხი	-2 168	-3358
ცვეთა	-11 983	-11561
იჯარა	-22 403	-21 292
სხვა სამეურნეო ხარჯი	-99 774	-1460 433
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი	-228 460	-1 657 705

8. რისკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავალზე.

შპს „ივერიასთილი“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით. ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად.

შპს ივერიასთილი-ს დირექტორი
ავთანდილ მუკბანიანი

